სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი **2016 წლის 19 მაისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. 2. თოდუა ნუგზარი 3. ბარბაქაძე ხათუნა (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 4. ხომერიკი რამაზი 5. თუთბერიძე ბეჟანი 6. მაჭავარიანი ლია 7. გეგეჭკორი არნოლდი 8. ხაჩიძე მანანა 9. ბექაური ბექა 10. ბახტურიძე პაატა 11. თოდუა ნონა 12. კვირიკაშვილი ბახვა 13. კუპრაძე ირაკლი 14. წერეთელი მარი 15. შამილიშვილი მანანა 16. ლორთქიფანიძე ლევანი 17. საბაური შალვა 18. ჩახუნაშვილი ნინო 19. ლორია კახაბერი 20. გორდეზიანი ლევანი 21. გელოვანი ნანი 22. თაბუაშვილი აპოლონი 23. ბრაჭული ირაკლი 24. ოთხმეზური გიორგი 25. პაიჭაძე თამარი 26. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. თვალთვაძე დარეჯანი 2. მექვაბიშვილი ელგუჯა 3. მინდორაშვილი მარინე 4. ფურთუხია ომარი 5. ღვედაშვილი გიორგი 6. ხარშილაძე ირმა 7. ქურდაძე ირინე 8. იმნაძე პაატა 9. ოკრიბელაშვილი ნინო 10. ბერძენიშვილი ამირანი 11. სანაძე რუსუდანი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს ზოგიერთი წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ცნობის საკითხი

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების დამტკიცება

3. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 4 მაისის №52/2016 დადგენილების დამტკიცება

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მომიჯნავე ტერიტორიაზე წყალარინების ქსელის მოწყობის თაობაზე თანხმობის გაცემა

5. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ საბჭოს წევრთაგან სამი - ქალბატონი ნინო ოკრიბელაშვილი და ბატონები - ელგუჯა მექვაბიშვილი და პაატა იმნაძე არჩეულ იქნენ აკადემიურ საბჭოში. ვინაიდან აკადემიური საბჭოს თანამდებობის დაკავება შეუთავსებელია სენატის წევრობასთან, მათ უფლებამოსილება უწყდებათ, რაც ოფიციალურად უნდა დადასტურდეს.

1.1. ***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:***

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ნინო ოკრიბელაშვილს, პაატა იმნაძესა და ელგუჯა მექვაბიშვილს შეუწყდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრების ნაცვლად ადგილმონაცვლე არსებობს მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - ქალბატონი ხათუნა ბარბაქაძემ. წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა ცნოს მისი უფლებამოსილება, რის შემდეგაც იგი შეძლებს მონაწილეობა მიიღოს საბჭოს საქმიანობაში.

1.2. ***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:***

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ცნობილ იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, ხათუნა ბარბაქაძის უფლებამოსილება.

2. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა უნივერსიტეტის წესდების ცვილებების პროექტი. მისი განცხადებით, წესდების ცვლილება ძირითადად გამოწვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებით და ეხება სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტში ინტეგრაციის, უნიერსიტეტის მმართველობის ორგანოების დაკომპლექტებისა და სხვა საკითხებს.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ბატონმა გიორგი ღვედაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით დგინდება სამეცნიერო კრიტერიუმები და სამეცნიერო ინსტიტუტებთან დაკავშირებული რამდენიმე საკვანძო საკითხი. ამასთან, პროექტი დეტალურად განხილული და შეთანხმებულია ინსტიტუტების წარმომადგენლებთან.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ განაცხადა, რომ ცვლილებების პროექტი განხილულ იქნა და დამუშავდა წესდების ცვილებების დროებით სამუშაო ჯგუფში, რომელიც წარმომადგენლობითმა საბჭომ სპეციალურად ამ მიზნით შექმნა. თითოეული საკითხი დეტალურად გაანალიზდა და შეჯერდა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა და მართალია, პროექტთან დაკავშირებით შესაძლებელია მცირე კითხვები იყოს, თუმცა არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, წესდების ცვლილებები ოპტიმალურია. ამასთან, მისასალმებელია ის განხილვები და მსჯელობები, რომლებიც ცვლილებების შემუშავებას წინ უძღოდა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ გამოთქვა აზრი, რომ აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლობა მინიმუმ 4 მაინც უნდა იყოს, რათა სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლობის ფონზე ფაკულტეტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერესები არ შეილახოს. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა განაცხადა, რომ 4 წარმომადგენლის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობა ძალზე გაიზრდება, რაც საბჭოს მოუქნელსა და არაეფექტურს გახდის. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობაზეა მიბმული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობაც, რომელიც პირველზე ორჯერ მეტი მაინც უნდა იყოს. ვინაიდან საკითხთან დაკავშირებით აზრი გაიყო, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს შორის ჩატარდა ე.წ. სარეიტინგო კენჭისყრა (15-მა

წევრმა 3 კაციან წარმომადგენლობას დაუჭირა მხარი, 10-მა - 4 კაციანს, ხოლო ერთმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო), რომლითაც გადაწყდა, რომ ცვლილებების პროექტში აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლობა 3 ადამიანით განსაზღვრულიყო.

წესდების ცვლლებებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ირაკი ბრაჭულმა, შალვა საბაურმა, ირაკლი კუპრაძემ, ქალბატონმა ნონა თოდუამ, ბატონებმა - აპოლონ თაბუაშვილმა, გიორგი ოთხმეზურმა, ლევან ლორთქიფანიძემ, ლევან გორდეზიანმა, ზურაბ გაიპარაშვილმა და ქალბატონმა მანანა შამილიშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 24
წინააღმდეგი: 2

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები (დანართი 3) 2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელმა, ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 4 მაისის №52/2016 დადგენილება. მისი განცხადებით, ცვლილებებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების ხელფასი იზრდება სამასი ლარით. ამ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა ფაკულტეტის საბჭომ და მისი პოზიცია გაიზიარა უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომაც.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ნუგზარ თოდუამ განაცხადა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორები დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვინაიდან პროფესორებს უკვე გაეზარდათ ხელფასი, ახლა

ასოცირებულ პროფესორებსაც ეზრდებათ. ფაკულტეტის საბჭომ რეკომენდაცია გაუწია ასისტენტ-პროფესორებისთვისაც ხელფასის მომატებას. ამაზე ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ განმარტა, რომ ასეთი რეკომენდაცია, მართლაც, არსებობს, თუმცა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის რესურსების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე მხოლოდ ასოცირებული პროფესორების ხელფასის გაზრდა ხერხდება. მომავალში კი ასისტენტ-პროფოსორების ანაზღაურებაც დადებითაც შეიცვლება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა გიორგი ოთხმეზურმა, ბეჟან თუთბერიძემ, არნოლდ გეგეჭკორმა, აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა და საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს ერთმა წევრმა.

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 4 მაისის №52/2016 დადგენილება (დანართი 4)

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მომიჯნავე ტერიტორიაზე წყალარინების ქსელის მოწყობის თაობაზე თანხმობის გაცემის საკითხი. მისი განმარტებით, შპს „ვოსაკი“, რომელიც უნივერსიტეტის ტერიტორიას ესაზღვრება, აპირებს წყალარინების

ქსელის მოწყობას, ამისათვის აუცილებელია უნივერსიტეტმა, როგორც მოსაზღვრე ტერიტორიის მესაკუთრემ, გასცეს თანხმობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მომიჯნავე ტერიტორიაზე წყალარინების ქსელის მოწყობის თაობაზე.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნონა თოდუამ წარმომადგენლობით საბჭოს შესთავაზა, სპეციალური მიმართვის შემუშავება, რომელშიც აღინიშნებოდა უნივერსიტეტის პოზიცია რექტორისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის წესთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, აუცილებელია განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც რექტორს აირჩევს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, ხოლო რექტორის მოვალეობის შემსრულებელს - აკადემიური საბჭო.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - კახაბერ ლორიამ, გიორგი ოთხმეზურმა, ლევან გორდეზიანმა და ლევან ლორთქიფანიძემ. აღინიშნა, რომ მსგავსი შინაარსის წერილი უკვე გაგზავნილია, ამასთან, სამინისტრო ამზადებს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, ამიტომაც წერილის კიდევ ერთხელ გაგზავნა საჭირო აღარაა.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2016 წლის 19 მაისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა (*უფლებამოსილების ცნობის შემდეგ*)

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი

- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2016 წლის 19 მაისი

- დარეჯან თვალთვაძე
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- მინდორაშვილი მარინე
- ფურთუხია ომარი
- ღვედაშვილი გიორგი
- ხარშილაძე ირმა
- ქურდაძე ირინე
- იმნაძე პაატა
- ოკრიბელაშვილი ნინო
- ბელქანია ნოდარი
- ბერძენიშვილი ამირანი
- აბაშიძე თამარი
- სანაძე რუსუდანი
- გოცირიძე დავითი
- სილაგაძე აპოლონი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება № /ნ
2016 წლის ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების:

1. მე-5 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. უნივერსიტეტის სტრუქტურა შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტებისაგან, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან, უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისაგან, დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულებისაგან, დამხმარე სამეცნიერო ერთეულებისგან, რექტორის მრჩეველთა საბჭოს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების (ადმინისტრაციის) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან: რექტორის აპარატისაგან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატისაგან, წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოსა და აკადემიური საბჭოს სამდივნოსაგან."

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსი ,,4^1" და ,,4^2" პუნქტები:

4^1.უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულები ახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობას და შესაძლებელია მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესში.

4^2. უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო ერთეულები, როგორც წესი, ფინანსდება მხოლოდ ამ ერთეულის ინიციატივით კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ბიუჯეტში მოზიდული სახსრებით.“

გ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული უნდა აკმაყოფილებდეს წესდებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და შექმნილი უნდა იყოს ამ წესდებით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში.

6. ამ მუხლის მე-4, 4^1, და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების ავტონომიურობის ფარგლები, სტრუქტურა, მართვისა და საქმიანობის წესი დგინდება ამ სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, რომლებიც მათი წარდგინებით მტკიცდება ამ წესდებით დადგენილი წესით.“

2. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;

გ) აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;“

ბ) პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ვ) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის გამჭვირვალობას, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის, აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით.“

3. მე-7 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. აკადემიური საბჭოს წევრები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩევიან:
ა) ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრები - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ;
ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლები - დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრის მიერ.“

ბ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. აკადემიურ საბჭოში თითოეული აირჩევა:
ა) ფაკულტეტიდან ? წარმომადგენელი. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე შესაბამისი რაოდენობის კანდიდატები/კანდიდატი;
ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან 1 წარმომადგენელი. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე შესაბამისი რაოდენობის კანდიდატები/კანდიდატი.
5. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა:
ა) ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრი - პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი.
ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრი - მთავარი ან/და უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.“

გ) მე-6 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,დ) სხვა სამეცნიერო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური, ადმინისტრაციული ან სამეცნიერო თანამდებობის დაკავება;“

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. აკადემიურ საბჭოში არჩეული ფაკულტეტების წარმომადგენლების შემადგენლობა ექვემდებარება ერთი მესამედით განახლებას 2 წლის გასვლის შემდეგ.“

ე) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „7[1]“ პუნქტი:

„7[1]. აკადემიურ საბჭოში ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის ნაცვლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის აუცილებლობის შემთხვევაში, ტარდება წილისწყრა. წილისყრის წესსა და პირობებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.“

4. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]“, „თ[2]“, „თ[3]“, „თ[4]“ და „თ[5]“ ქვეპუნქტები:

„თ[1]) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორს;

თ[2]) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით განიხილავს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;

თ[3]) განიხილავს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს;

თ[4]) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს;

თ[5]) ფაკულტეტის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში მონაწილეობის, აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ჩართვის წესს;“.

ბ) პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) დადგენილებით იღებს დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების, დამხმარე სამეცნიერო ერთეულების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;“.

5. მე-10 მუხლში:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიურ პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის მომენტში ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. ასევე წარმომადგენლობით საბჭოში საბჭოს წევრის სტატუსით უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ აირჩევა 1 მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. წარმომადგენლობით საბჭოში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,4^1" პუნქტი:

,,4^1. წარმომადგენლობითი საბჭოს რაოდენობის შეცვლის გადაწყვეტილებას იღებს თავად წარმომადგენლობითი საბჭო კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. წარმომადგენლობითი საბჭოს რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები აირჩევიან მოქმედი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

დ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტთან მათი, შესაბამისად, აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა."

6. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დებულებას, აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების, დამხმარე სამეცნიერო ერთეულების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებებს, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;“

ბ) პირველი პუნქტის ,,რ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$რ^1$“ და ,,$რ^2$“ ქვეპუნქტები:

,,$რ^1$) ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს/წესებს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

$რ^2$) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;“

7. მე-14 მუხლის:

ა) მე-8 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ადგენს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების, ხოლო დამხმარე საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო ერთეულების ხელმძღვანელების წარდგინებით ამ სტრუქტურული ერთეულის პერსონალის ნუსხას და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხის პროექტში შეყვანის მიზნით;

ბ) მე-8 პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ი) ნიშნავს და ათავისუფლებს დამხმარე საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელს;“.

გ) მე-8 პუნქტის ,,მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$მ^1$“ ქვეპუნქტი:

,,$მ^1$) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამ წესდებით დადგენილი წესით შექმნის შემდეგ დირექტორის პირველი არჩევნების ჩატარებამდე უფლებამოსილია დანიშნოს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.“

8. მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ლ[1]“ ქვეპუნქტი:

,,ლ1) ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიერ საკუთარი ბიუჯეტის პროექტების შედგენას და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენას;“.

9. მე-17 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მტკიცდება 4 წლის ვადით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.“

ბ) მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ,,ვ“ ქვეპუნქტი:

,,ვ) შეიმუშავებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. შეფასების წესი უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს (შეფასების პროცესში უცხოელ შემფასებელთა მონაწილეობა, სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვ.).“

10. მე-18 მუხლში:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით და მის შემადგენლობაში შედის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვ.), ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი, დამხმარე სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

ბ) დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-6 - მე-9 პუნქტები:

,,6. ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

7. ფაკულტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს უფლება აქვს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესით:

ა) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, აგრეთვე სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში;

ბ) ჩართოს სტუდენტები სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

8. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულები ახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობას და შესაძლებელია მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესში.

9. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულები, როგორც წესი, ფინანსდებიან მხოლოდ ამ ერთეულის ინიციატივით კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის ბიუჯეტში მოზიდული სახსრებით.“

11. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირებისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. საბჭოს წევრთა ოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.“

12. მე-20 მუხლს:

ა) ,,ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ვ^{1}“, ,,ვ^{2}“, ,,ვ^{3}“ და ,,ვ^{4}“ ქვეპუნქტები:

,,ვ^{1}) ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს;

ვ^{2}) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ[3]) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში;

ვ[4]) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის;“.

ბ) ,,თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ[1]“, ,,თ[2]“, ,,თ[3]“ და ,,თ[4]“ ქვეპუნქტები:

,,თ[1]) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორს;

თ[2]) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს;

თ[3]) ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას და ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;

თ[4]) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს;“.

13. 22-ე მუხლში:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, მისი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.“

ბ) დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-7 - მე-10 პუნქტები:

,,7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

8. ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესი უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს (შეფასების პროცესში უცხოელ შემფასებელთა მონაწილეობა, სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვ.).

9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას აფასებს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი.“

14. 23-ე მუხლის მე-3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭო იქმნება შესაბამისი დარგის/სპეციალობის მიხედვით. სადისერტაციო საბჭოს/საბჭოების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.“

15. 23-ე მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 - მე-5 პუნქტები:

,,4. ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან, აგრეთვე ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლისაგან. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები/სპეციალობის მქონე პირების წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.“

16. 23-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 23^1 – 23^9 მუხლები:

,,მუხლი 23^1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული არის უნივერსიტეტის ან ფაკულტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.

2. დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და შექმნილი უნდა იყოს ამ წესდებით დადგენილი წესით.

3. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ავტონომიურობის ფარგლები, მართვისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

მუხლი 23^2. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის კრიტერიუმები და მათი შექმნის წესი

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტში ან უნივერსიტეტის ფაკულტეტზე, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შექმნის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

3. ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შექმნის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული შესაძლებელია შეიქმნას მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობის ინსტიტუციური გამოცდილების მქონე სუბიექტისგან (ინსტიტუცია - სტრუქტურული ერთეული, დაწესებულება და სხვ.), მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაქმნელად შესაბამისი ინსტიტუცია უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც:

ა) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ან ერთეულად არსებობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება და ამ პერიოდში საშუალოდ წლიურად სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი არანაკლებ 15 თანამშრომელი, სახელმწიფო საბიუჯეტო მიზნობრივი (მათ შორის, პროგრამული) დაფინანსების არსებობა;

ბ) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ან ერთეულად არსებობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება და ამ პერიოდში საშუალოდ წლიურად სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი არანაკლებ 15 თანამშრომელი, საქმიანობის ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზებში (,,Scopus“ ან ,,Web of Science” ან ,,ERIH”) ინდექსირებული სამეცნიერო პუბლიკაციების ფარდობითი მაჩვენებელი არანაკლებ 3.0-ისა, რომელიც განისაზღვრება, როგორც ბოლო 5 წლის განმავლობაში ინდექსირებული პუბლიკაციების რაოდენობის შეფარდება ამავე პერიოდში ინსტიტუციაში სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობასთან.

6. ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაქმნელად შესაბამისი ინსტიტუცია უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც:

ა) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ან ერთეულად არსებობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და ამ პერიოდში საშუალოდ წლიურად სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი არანაკლებ 15 თანამშრომელი, სახელმწიფო საბიუჯეტო მიზნობრივი (მათ შორის, პროგრამული) დაფინანსების არსებობა;

ბ) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ან ერთეულად არსებობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და ამ პერიოდში საშუალოდ წლიურად სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი არანაკლებ 15 თანამშრომელი, საქმიანობის ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზებში (,,Scopus“ ან ,,Web of Science” ან ,,ERIH”) ინდექსირებული სამეცნიერო პუბლიკაციების ფარდობითი მაჩვენებელი არანაკლებ 3.0-ისა, რომელიც განისაზღვრება, როგორც ბოლო 5 წლის განმავლობაში ინდექსირებული პუბლიკაციების რაოდენობის შეფარდება ამავე პერიოდში ინსტიტუციაში სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობასთან.

7. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამ მუხლის მე-5 ან მე-6 პუნქტის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველზე შექმნისას აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეტალური აღწერა (სადაც უნდა განახორციელოს ამ ერთეულმა საქმიანობა), წლიური ბიუჯეტის პროექტი (ყველა აუცილებელი ხარჯის გათვალისწინებით), რითაც საბუთდება ხარჯების მიზანშეწონილობა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული არსებობის მდგრადობა.

8. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული პერიოდულად შესაძლებელია შემოწმდეს ამ მუხლის მე-5 ან მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

9. ამ მუხლის მე-5 ან მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და მე-7

პუნქტით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეული კარგავს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამის სტატუსს და სტატუსის დაკარგვიდან არანაკლებ 1 წლის გასვლის შემდეგ აქვს უფლება მოითხოვოს იმავე სტატუსის მიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულის შექმნის საკითხის განხილვისას მიიღოს გადაწყვეტილება წესდებით გათვალისწინებული პირობებისა და ყველა კრიტერიუმის ერთდროულად დაკმაყოფილების ვალდებულების შესახებ. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მისაღებად შესაბამისი ინსტიტუცია, გარდა წესდებით გათვალისწინებული პირობებისა, უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა კრიტერიუმს ერთობლივად.

11. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შექმნის საკითხის განხილვისას მიიღოს გადაწყვეტილება წესდებით გათვალისწინებული პირობებისა და ყველა კრიტერიუმის ერთდროულად დაკმაყოფილების ვალდებულების შესახებ. ამ შემთხვევაში ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მისაღებად შესაბამისი ინსტიტუცია, გარდა წესდებით გათვალისწინებული პირობებისა, უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა კრიტერიუმს ერთობლივად.

მუხლი 23³. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტრუქტურა და მართვა

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტრუქტურა შეიძლება ითვალისწინებდეს ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

2. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოებია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი.

3. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, მათი ხელმძღვანელობისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

4. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.

5. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის/დანიშვნის წესი განისაზღვრება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

მუხლი 23[4]. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები ქმნიან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს.

2. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

3. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს მისი წევრებისაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე.

4. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები, უფლებამოსილების ვადა, არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი განისაზღვრება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

მუხლი 23[5]. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობას ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი.

2. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს/ფაკულტეტის საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს/ფაკულტეტის

საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში დამოუკიდებელი სამეცნიერო- კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს/ფაკულტეტის საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში უნივერსიტეტის/ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის ახალი კანდიდატურა. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება აკადემიური საბჭოს/ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებამდე.

3. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. ერთმა და იმავე პირმა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

5. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი და დირექტორის უფლებამოსილებები განისაზღვრება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

მუხლი 23[6]. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი შეიძლება შედგებოდეს მეცნიერებისა და პოსტდოქტორანტებისაგან.

2. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.

3. პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე ირჩევს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში

აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 23[7]. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.

3. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ატესტაცია ტარდება რექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისიის/კომისიების მიერ. ატესტაცია ტარდება 2 ეტაპად - განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობის შეფასება და გასაუბრება. კომისიის მიერ სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ეფუძნება მინიმალურ სამეცნიერო მოთხოვნებს (კრიტერიუმებს), რომლებიც აისახება ატესტაციის ჩატარების წესისა და პირობების დამდგენ სამართლებრივ აქტში. ატესტაციის შედეგად შესაბამისი კომისია თითოეულ მეცნიერზე ადგენს დასკვნას. კომისია აკადემიური საბჭოს წინაშე და ატესტაციის შედეგებზე დაყრდნობით შუამდგომლობს, მეცნიერი დარჩეს თუ გათავისუფლდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან. ატესტაციის ჩატარების წესსა და პირობებს ადგენს რექტორი, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულების წარდგინებით და განსახილველად გადასცემს აკადემიურ საბჭოს. ატესტაციის ჩატარების წესსა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.

5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მეცნიერი თანამშრომლისათვის ატესტაციის გავლის ვალდებულება, მათი არჩევის ვადის

განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ. ატესტაცია ტარდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ატესტაციის ჩატარების წესისა და პირობების დამდგენი სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

7. სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღი და დამატებითი პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული წესით, შესაბამისი საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე.

8. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს შეიმუშავებს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც აღნიშნულ წესსა და დამატებით პირობებს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

9. ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს შეიმუშავებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

10. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მუხლი 23[8]. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. სამეცნიერო პერსონალთან იდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება.

2. სამეცნიერო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) დისციპლინური ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 23[9]. მეცნიერის უფლებები და მოვალეობები

1. მეცნიერის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით ან/და შრომითი ხელშეკრულებით.

2. მეცნიერს უფლება აქვს:

ა) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;

დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;

ე) განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

3. მეცნიერი ვალდებულია:

ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

4. უნივერსიტეტი/ფაკულტეტი და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული უზრუნველყოფენ სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას.

5. დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა;

გ) უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით ორგანიზება გაუწიოს სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებს;

დ) ითანამშრომლოს საქართველოს და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით;

ე) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით;

ვ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში;

ზ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით სტუდენტები ჩართოს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;

თ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა."

17. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 26. უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტში არსებობს ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, მკვლევართა, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო, მკვლევართა და დამხმარე თანამდებობებზე პირი მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით შესაძლებელია დასაქმებულ იქნეს არა უმეტეს 12 თვის ვადით, გარდა კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა."

18. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 29. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა. პროფესორი ექვემდებარება ამ წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.
2. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას. ატესტაცია ტარდება ამისათვის რექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისიის/კომისიების მიერ. ატესტაცია ტარდება 2 ეტაპად - განხორციელებული აკადემიური საქმიანობის შეფასება და გასაუბრება. პროფესორის აკადემიური საქმიანობის შეფასება ეფუძნება აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი საქმიანობისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი

პირობების შემცველ სამართლებრივ აქტს. ატესტაციის შედეგად შესაბამისი კომისია თითოეულ პროფესორზე ადგენს დასკვნას. კომისია აკადემიური საბჭოს წინაშე და ატესტაციის შედეგებზე დაყრდნობით შუამდგომლობს, პროფესორი დარჩეს თუ გათავისუფლდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან. ატესტაციის ჩატარების წესსა და პირობებს ადგენს რექტორი, ფაკულტეტებთან შეთანხმებით და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. ატესტაციის ჩატარების წესსა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

3. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

(3. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 7 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. (ამოქმედდეს 2016 წლის პირველი სექტემბრიდან))

4. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით.

5. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 4 წლის ვადით.

6. დასაშვებია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი – მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობებით აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი განისაზღვრება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით.“

19. 33-ე მუხლში:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი და მისი მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ფაკულტეტების დეკანები და მათი მოადგილეები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორები და მათი მოადგილეები, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.“

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. სამეცნიერო თანამდებობებს მიეკუთვნება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობი.“

გ) მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5[1] პუნქტი:

„5[1]. მკვლევართა თანამდებობებს მიეკუთვნება უნივერსიტეტის მიერ დამხმარე სამეცნიერო ერთეულში განსაზღვრული მკვლევართა თანამდებობები.“

20. 36-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს უნივერსიტეტში ან/და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში“.

მუხლი 2.

1. წინამდებარე ბრძანების ამოქმედების დროისთვის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მქონე ერთეულები ჩაითვალოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული წესით შექმნილ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებად.
2. წინამდებარე ბრძანების ამოქმედების დროისთვის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პერსონალი ჩაითვალოს სამსახურში მიღებულად მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული წესით.
3. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის პირველი ატესტაცია ჩატარდეს არაუგვიანეს 2017 წლის პირველი იანვრისა.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის პირველი პროცედურის ჩატარება უზრუნველყოს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი წლის ვადაში.

მუხლი 3.

1. წინამდებარე ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი და მე-5 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის 01 ივლისიდან.

2. ეს ბრძანება, გარდა მისი პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა, მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი *თამარ სანიკიძე*

დადგენილება №52/2016
4 მაისი, 2016

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 28.04.2016, №02/01/02-03-07 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №3 დანართის (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3000 ლარი;“
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე